# ირანი-აშშ , პარტნიორობიდან დაპირისპირებამდე

**თეიმურაზ ანდრონიკაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე. სრული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი 2014**

**აბსტრაქტი**

სამაგისტრო ნაშრომში მიმოხილულია ირან-აშშ-ს ურთიერთობები და მათი განვითარების ეტაპები მე 20-ე 21-ე საუკუნეებში . ნაშრომი აღწერს იმ მოვლენებსა და ამ ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარების ეტაპებს, რომელთა შემდგომ ირანის პარტნიორი ქვეყანა აშშ, მის უმთავრეს მოწინააღმდეგედ და მოსისხლე მტრად გადაიქცა.ჩემი ნაშრომის აქტუალურობა გამოწვეულია ამ ორი ქვეყნის უდიდესი როლით თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში . განსაკუთრებით ბოლოპერიოდშიამერიკულ-
ირანულიურთიერთობებისთემამასობრივიინფორმაციისსაშუალებებისმთავარიგვერდე ბიდანარქრება.
ამთემასეძღვნებამსოფლიოშიწამყვანიტელედარადიოკომპანიებისუამრავიგადაცემა რაც მის აქტუალობაზე მეტყველებს.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი წყაროების ანალიზის (კონტენტ ანალიზი) კატეგორიაში მოიაზრება, ასევე გამოყენებულია სხვადასხვა მეცნიერების გამოქვეყნებული შრომები , სტატიები და კვლევები .

**ძირითადი საძიებო სიტყვები**:ირანი, აშშ,ისლამურირევოლუცია,ბირთვული იარაღი, ისლამური ფუნდამენტალიზმი, ირანისბირთვულიპროგრამა .